

დრეკადობის ბრტყელი თეორიის ამოცანა მრავალკუთხა
არისათვის წრიული ხვრელით

გ. კაპანაძე

განხილულია დრეკადობის ბრტყელი თეორიის ამოცანა მრავალკუთხა არისათვის წრიული ხვრელით იმ პირობით, რომ მრავალკუთხედის გვერდებზე მოქმედებენ ნორმალური მკუმშვადი ძაბვები, ხოლო ხვრელის საზღვარი თავისუფალია გარეგანი დატვირთვებისაგან.

ამოცანის ამოსახსნელად გამოიყენება აკად. ნ. მუსხელიშვილის მეთოდები, რომლის საფუძველზეც იგი მიყვანილია რიმან-ჰილბერტის ამოცანაზე წრიული რგოლისათვის და ამ უკანასკნელის ამოხსნის გზით დასმული ამოცანის ამონახსნი აგებულია ეფექტურად (ანალიზური ფორმით). მოყვანილია ამონახსნის ყოფაქცევის გამოკვლევა კუთხეების წვეროთა მახლობლობაში.